შპს ლოპოტა

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება 5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 7

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 9
2. მომზადების საფუძველი 9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები 11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 12
5. ამონაგები 17
6. სხვა ხარჯები 17
7. ფინანსური ხარჯი 17
8. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება, ნეტო 18
9. სხვა შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო 18
10. ძირითადი საშუალებები 19
11. არამატერიალური აქტივები 20
12. მარაგები 20
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 21
14. ფული და ფულის ეკვივალენტები 21
15. საწესდებო კაპიტალი 22
16. მიღებული სესხები 22
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 24
18. საგადასახადო ვალდებულებები 24
19. პირობითი ვალდებულებები 24
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 25
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 25
22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 26

დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნა

შპს „ლოპოტას“ დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლოპოტას“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის მოძრაობას და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი. მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქიონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტციცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

11 ივლისი 2019

ტელ: +995 32 2545 845
ფაქსი: +995 32 2188 188
www.bdo.ge

ი. თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნა

შპს „ლოპოტას“ დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლოპოტას“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის მოძრაობას და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი. მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქიონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტციცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

11 ივლისი 2019

	შენიშვნა	**2018**	**2017**
ამონაგები	5	17,412,897	11,374,462
მარაგის შესყიდვის ხარჯი		(3,391,528)	(2,073,098)
კომპანიის მიერ შესრულებული და კაპიტალიზებული სამუშაოები		71,773	7,147
მარაგის ცვლილება		352,083	399,610
სახელფასო ხარჯი		(5,212,439)	(3,123,429)
ცვეთა და ამორტიზაცია	10,11	(1,922,468)	(920,290)
სხვა ხარჯები	6	(3,649,435)	(2,182,842)
საოპერაციო მოგება		**3,660,883**	**3,481,560**
ფინანსური ხარჯი	7	(2,867,812)	(2,580,594)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება, ნეტო	8	(256,742)	433,561
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	9	(9,187)	(109,631)
წლის სრული შემოსავალი		**527,142**	**1,224,896**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 11 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

ფინანსური დირექტორი _____ გ. ქევანიშვილი

დირექტორი _____ გ. მაისურაძე

9 - 32 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	5	17,412,897	11,374,462
მარაგის შესყიდვის ხარჯი		(3,391,528)	(2,073,098)
კომპანიის მიერ შესრულებული და კაპიტალიზებული სამუშაოები		71,773	7,147
მარაგის ცვლილება		352,083	399,610
სახელფასო ხარჯი		(5,212,439)	(3,123,429)
ცვეთა და ამორტიზაცია	10,11	(1,922,468)	(920,290)
სხვა ხარჯები	6	(3,649,435)	(2,182,842)
საოპერაციო მოგება		3,660,883	3,481,560
ფინანსური ხარჯი	7	(2,867,812)	(2,580,594)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება, ნეტო	8	(256,742)	433,561
სხვა შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო	9	(9,187)	(109,631)
წლის სრული შემოსავალი		527,142	1,224,896

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 11 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

ფინანსური დირექტორი _____ გ. ქევანიშვილი

დირექტორი _____ გ. მაისურაძე

9 - 32 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

	შენიშვნა	**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	64,620,654	50,432,401
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები		450,837	1,697,052
არამატერიალური აქტივები	11	156,466	144,587
		64,227,957	**52,274,040**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	751,692	399,609
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	458,222	426,874
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	114,862	467,711
		1,324,776	**1,294,194**
		66,552,733	**53,568,234**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	24,988,516	30,087,520
დაუფარავი ზარალი/გაუნაწილებელი მოგება		(560,604)	1,224,896
სხვა რეზერვები		3,608,376	3,608,376
		28,036,288	**34,920,792**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	16	33,126,802	15,246,032
		33,126,802	**15,246,032**
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	16	3,502,247	2,427,103
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	1,540,298	880,876
საგადასახადო ვალდებულებები	18	347,098	93,431
		5,389,643	**3,401,410**
		66,552,733	**53,568,234**

9 - 32 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	საწესდებო კაპიტალი	**დაუფარავი ზარალი/გაუნაწილებელი მოგება**	**სხვა რეზერვები**	**სულ**
1 იანვარი 2017	-	-	-	-
წლის სრული შემოსავალი	-	1,224,896	-	**1,224,896**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	30,087,520	-	-	**30,087,520**
დამატებითი შენატანი კაპიტალში	-	-	3,608,376	**3,608,376**
31 დეკემბერი 2017	**30,087,520**	**1,224,896**	**3,608,376**	**34,920,792**
წლის სრული შემოსავალი	-	527,142	-	**527,142**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	8,210,188			**8,210,188**
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(13,309,192)	-	-	**(13,309,192)**
გამოცხადებული დივიდენდი	-	(2,312,642)	-	**(2,312,642)**
31 დეკემბერი 2018	**24,988,516**	**(560,604)**	**3,608,376**	**28,036,288**

9 - 32 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		**527,142**	**1,224,896**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10,11	1,922,468	920,290
საპროცენტო ხარჯი	7	1,999,127	1,181,928
მოთხოვნების გაუფასურება	6	71,057	-
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	9	80,331	399,605
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	7,8	1,125,427	965,105
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		**5,725,552**	**4,691,824**
მარაგების ზრდა		(352,083)	(399,609)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(102,405)	(434,421)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		333,342	1,316,327
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		253,667	93,431
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში განხორციელებული ცვლილების შემდეგ		**5,858,073**	**5,267,552**
გადახდილი პროცენტი	16	(2,004,272)	(1,127,672)
გადახდილი დივიდენდი		(2,312,642)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**1,541,159**	**4,139,880**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(14,336,913)	(24,840,990)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(36,319)	(156,052)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(14,373,232)**	**(24,997,042)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება	16	37,854,912	18,313,652
სესხის დაფარვა	16	(20,076,945)	(2,093,439)
საწესდებო კაპიტალში შენატანი	15	8,210,188	5,099,003
საწესდებო კაპიტალის შემცირება	15	(13,309,192)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**12,678,963**	**21,319,216**
ფულადი სახსრების წმინდა (შემცირება)/ზრდა		**(153,110)**	**462,054**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**467,711**	**-**
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(199,739)	5,657
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		**114,862**	**467,711**

9 - 32 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლოპოტა“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2016 წლის 27 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა დამფუძნებლების მიერ კაპიტალში აქტივების შეტანა და შესაბამისად, საოპერაციო საქმიანობის დაწყება განხორციელდა 2017 წლის მარტიდან. კომპანიის იურიდიული მისამართია თელავის რაიონი, სოფელი ნაფარეული, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სასტუმროს და მასთან დაკავშირებული სხვა სერვისების გაწევა. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის კომპანიის მფლობელების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის დასახელება	**31 დეკემბერი 2018**	**31 დეკემბერი 2017**
შპს„ლოპოტა ინვესტმენტი“	100%	62.22%
სს „საპარტნიორო ფონდი“	-	37.78%

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელია ფიზიკური პირი გიორგი მაისურაძე.

2. მომზადების საფუძველი

მოცემულ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს–ები) შესაბამისად.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად კომპანიის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის - 2018 წლის 31 დეკემბერი.

კომპანია არ იყენებს სხვადასხვა ვერსიას იმ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით, რომელიც წინა თარიღებისათვის იყო ძალაში და რომელთა დაკავშირებითაც შესული ცვლილებების სავალდებულო გამოყენება ძალაში შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პერიოდში. კომპანია არ იყენებს ახალ ფასს-ბს, რომელთა გამოყენება სავალდებულო არ არის, თუ სტანდარტით დაშვებულია მისი ვადამდელი დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, და
- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია გადავიდა ფასს 9 და ფასს 15-ზე 2018 წლის 1 იანვარის თარიღით. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული.

აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტებზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში. კომპანიის შეფასებით ფასს 9 და ფასს 15-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ აქვს არსებითი გავლენა კაპიტალის საწყის ნაშთზე და შესაბამისად, იგი არ დაუკორექტირებია.

სხვა ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რადგან არ არის კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ან არ შეესაბამება კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკას.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 - გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ იჯარას და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო იჯარას სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელი ფინანსური იჯარის აღრიცხვის პრინციპს. იჯარის გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარის გამცემი განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას.

კომპანია აფასებს ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

3.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების'' (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-13 შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.3 სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები.

კომპანია, თავისი საქმიანობის მანძილზე დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიც არის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	216,540	175,055
ფული და ფულის ეკვივალენტები	114,862	467,711
	331,402	**642,766**
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	36,629,049	17,673,135
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,051,363	609,874
	37,680,412	**18,283,009**

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით,

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის.

ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და მიღებული სესხები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. ბანკებისგან მიღებული სესხები დადისკონტირებულია კომპანიის საკუთარი საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მიღებული აქვს ისინი. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვა

კომპანია კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	31.12.2018
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	216,540	-	-	**216,540**
ფული და ფულის ეკვივალენტები	105,447	9,415	-	**114,862**
	321,987	**9,415**		**331,402**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	18,857,243	17,771,806	**36,629,049**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	986,519	40,283	24,561	**1,051,363**
	986,519	**18,897,526**	**17,796,367**	**37,680,412**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**(664,532)**	**(18,888,111)**	**(17,796,367)**	

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	31.12.2017
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	175,055	-	**175,055**
ფული და ფულის ეკვივალენტები	178,289	289,422	**467,711**
	353,344	**289,422**	**642,766**
ფინანსური ვალდებულებები			
სესხები	-	17,673,135	**17,673,135**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	609,874	-	**609,874**
	609,874	**17,673,135**	**18,283,009**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**(256,530)**	**(17,383,713)**	

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის მენეჯენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	(3,777,622)	3,777,622	(3,559,273)	3,559,273

2017 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	(3,476,743)	3,476,743	-	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტიან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში:

	31.12.2018		31.12.2017	
	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით
მოგება/ზარალი	(365,800)	365,800	(176,189)	176,189

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ერთი ცვლადის ცვლილებას იმ დაშვებით, რომ სხვა ცვლადები დარჩება უცვლელი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს.

ლიკვიდურობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,051,363	-	**1,051,363**
მიღებული სესხები	3,502,247	33,126,802	**36,629,049**
	4,553,610	**33,126,802**	**37,680,412**

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	609,874	-	**609,874**
მიღებული სესხები	2,427,103	15,246,032	**17,673,135**
	3,036,977	**15,246,032**	**18,283,009**

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდობა რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს დებიტორული დავალიანების დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. კომპანია საკრედიტო რისკების მართვას ასევე ახორციელებს მომხმარებლებთან საავანსო ანგარიშსწორების სისტემის დანერგვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურების რეზერვი
მიმდინარე	91,813	1%	918
ვადაგადაცილება 0-30	19,028	10%	1,903
ვადაგადაცილება 31-90	147,542	30%	44,260
ვადაგადაცილება 91-180	5,183	50%	2,592
ვადაგადაცილება 181-365	13,235	80%	10,588
ვადაგადაცილება 365>	10,796	100%	10,796
მოთხოვნები გაუფასურებამდე	**287,597**		**71,057**
გაუფასურების რეზერვი	(71,057)		-
წმინდა მოთხოვნები	**216,540**		**(71,057)**

კომპანიას 2017 წელში საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე (2017 წლის მარტში დაიწყო საოპერაციო საქმიანობა) არ ჰყოლია დიდი ოდენობით დებიტორები, აქედან გამომდინარე, მათი დავალიანების ხანდაზმულობის მონიტორინგი მოხდა ინდივიდუალურად. კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ინდივიდუალურად შეაფასა დებიტორების გაუფასურების ნიშნები, რის შედეგადაც საეჭვო ვალების რეზერვის არ შეუქმნია.

კომპანია ფინანსური აქტივების დარეზერვებას ახორციელებს ფასს 9-ის - „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოთხოვნების შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 22-ე განმარტებითი შენიშვნა.

5. ამონაგები

ამონაგები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ოთახები	13,573,786	8,436,679
საჭმელი და სასმელი	2,650,695	2,071,566
გასართობი და სარელაქსაციო აქტივობები	828,536	451,474
სხვა	359,880	414,743
	17,412,897	**11,374,462**

6. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
რეკლამის და გაყიდვების ხარჯი	(917,183)	(571,230)
კომუნალური გადასახადები	(716,575)	(355,669)
საგადასახადო ხარჯი	(404,581)	(150,016)
შეკეთება და რემონტი	(278,963)	(134,608)
ტრანსპორტირება	(257,915)	(188,955)
იჯარა	(173,197)	(115,016)
სამეურნეო ხარჯები	(147,890)	(111,382)
ბანკის საკომისიო	(126,937)	(104,815)
მოთხოვნების გაუფასურება	(71,057)	-
კომუნიკაციის ხარჯები	(45,679)	(29,676)
პროფესიული მომსახურება*	(35,763)	(84,202)
დაცვა	(33,194)	(49,447)
დაზღვევა	(26,208)	(26,070)
მივლინება	(25,297)	(20,988)
კადრების გადამზადების ხარჯები	(19,809)	(90,212)
სხვა	(369,187)	(150,556)
	(3,649,435)	**(2,182,842)**

*2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის აუდიტორულ კომპანიაზე გაწეული წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის და სხვა პროფესიული მომსახურების ღირებულება შეადგენს 21,236 და 27,616 ლარს შესაბამისად.

7. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
საპროცენტო ხარჯი	(1,999,127)	(1,181,928)
სესხებთან დაკავშირებული კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(868,685)	(1,398,666)
	(2,867,812)	**(2,580,594)**

8. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება, ნეტო

კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/მოგება,ნეტო 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ფული და ფულის ექვივალენტი	(199,739)	5,657
სხვა ფინანსური ინსტრუმენტები	(57,003)	427,904
	(256,742)	**433,561**

9. სხვა შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო

სხვა შემოსავალი/(ხარჯი),ნეტო 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
სხვა შემოსავალი		
მარკეტინგული შემოსავალი	95,608	-
სადაზღვევო კომპანიის მიერ ზარალის კომპენსაცია	-	379,434
სხვა	-	47,926
	95,608	**427,360**
სხვა ხარჯი		
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(80,331)	(399,605)
სხვა	(24,464)	(137,386)
	(104,795)	**(536,991)**
	(9,187)	**(109,631)**

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
2017 წლის 1 იანვარი	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
შეძენა საწარმოთა გაერთიანების გზით	27,270,583	15,831,605	-	2,090,959	86,191	1,222,370	**46,501,708**
შემოსვლა	31,450	32,727	4,089,735	402,990	310,310	407,529	**5,274,741**
შიდა გადაადგილება	-	828,157	(828,157)	-	-	-	**-**
გასვლა	-	(400,098)	-	(29,155)	(2,913)	(3,844)	**(436,010)**
2017 წლის 31 დეკემბერი	**27,302,033**	**16,292,391**	**3,261,578**	**2,464,794**	**393,588**	**1,626,055**	**51,340,439**
შემოსვლა	-	65,714	10,767,774	4,422,397	61,532	849,196	**16,094,840**
შიდა გადაადგილება	-	10,193,129	(10,814,038)	-	-	620,909	**-**
ჩამოწერა	-	-	-	-	-	(102,660)	**(102,660)**
2018 წლის 31 დეკემბერი	**27,302,033**	**26,551,234**	**3,215,314**	**6,887,191**	**455,120**	**2,993,500**	**67,404,392**
დაგროვილი ცვეთა							
2017 წლის 1 იანვარი	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
ცვეთა	-	(352,756)	-	(359,230)	(38,331)	(158,508)	**(908,825)**
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	493	-	118	120	56	**787**
2017 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(352,263)**	**-**	**(359,112)**	**(38,211)**	**(158,452)**	**(908,038)**
ცვეთა	-	(583,703)	-	(929,354)	(83,671)	(301,300)	**(1,898,028)**
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	22,328	**22,328**
2018 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(935,966)**	**-**	**(1,288,466)**	**(121,882)**	**(437,424)**	**(2,783,738)**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 31 დეკემბერი	**27,302,033**	**15,940,128**	**3,261,578**	**2,105,682**	**355,377**	**1,467,603**	**50,432,401**
2018 წლის 31 დეკემბერი	**27,302,033**	**25,615,268**	**3,215,314**	**5,598,725**	**333,238**	**2,556,076**	**64,620,654**

10. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

კომპანიის უძრავი ქონება და მოძრავი ქონების ნაწილი ჩადებული სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფაში.

11. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	პროგრამები	ლიცენზიები	ვებ-გვერდი	სხვა	სულ
2017 წლის 1 იანვარი	-	-	-	-	-
შემოსვლა	67,304	41,963	23,101	23,684	**156,052**
2017 წლის 31 დეკემბერი	**67,304**	**41,963**	**23,101**	**23,684**	**156,052**
შემოსვლა	-	33,619	2,700	-	**36,319**
2018 წლის 31 დეკემბერი	**67,304**	**75,582**	**25,801**	**23,684**	**192,371**
დაგროვილი ამორტიზაცია					
2017 წლის 1 იანვარი	-	-	-	-	-
ამორტიზაცია	(4,992)	(1,449)	(2,269)	(2,755)	**(11,465)**
2017 წლის 31 დეკემბერი	**(4,992)**	**(1,449)**	**(2,269)**	**(2,755)**	**(11,465)**
ამორტიზაცია	(8,902)	(7,089)	(3,702)	(4,747)	**(24,440)**
2018 წლის 31 დეკემბერი	**(13,894)**	**(8,538)**	**(5,971)**	**(7,502)**	**(35,905)**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2017 წლის 31 დეკემბერი	**62,312**	**40,514**	**20,832**	**20,929**	**144,587**
2018 წლის 31 დეკემბერი	**53,410**	**67,044**	**19,830**	**16,182**	**156,466**

12. მარაგები

მარაგები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
საკვები და სასმელი	491,277	226,726
სამეურნეო მარაგი	153,470	109,214
სარეალიზაციო პროდუქცია	99,495	35,813
სხვა	7,450	27,856
	751,692	**399,609**

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	287,598	167,935
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	7,120
გაუფასურების რეზერვი	(71,057)	-
	216,541	**175,055**
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	227,859	222,518
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	13,823	29,301
	241,682	**251,819**
	458,222	**426,874**

კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დამატებით ინფორმაცია მოცემულია 22-ე განმარტებით შენიშვნაში.

გაუფასურების რეზერვის ცვლილება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
1 იანვარი	-
საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ზრდა	(71,057)
31 დეკემბერი	**(71,057)**

სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	77,816	160,109
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	27,631	18,180
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოური ვალუტაში	9,415	289,422
	114,862	**467,711**

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია ფული და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

15. საწესდებო კაპიტალი

2017 წლის 30 მარტს სს „საპარტნიორი ფონდთან“ გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, (რომლის შედეგადაც კომპანიაში სს „საპარტნიორი ფონდის“ წილი განისაზღვრა 37,78%-ით) ფონდის მიერ ეტაპობრივად მოხდება კაპიტალის შევსება ფულადი ან სხვა სახის შენატანებით, თუ კომპანია დააკმაყოფილებს ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. საპარტნიორო ფონდთან გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, კომპანიას აქვს უფლება 5 წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს (ათვლა დაიწყება არაუგვიანეს 2017 წლის 5 მარტისა) შეისყიდოს ფონდის კუთვნილი წილი კომპანიაში. შესყიდვის ოფციის ვადის გასვლის შემდეგ 3 წლის განმავლობაში ფონდს უფლება აქვს მოსთხოვოს კომპანიას მასში არსებული წილის სრულად ან ნაწილობრივ შესყიდვა. შესყიდვის და გაყიდვის ფასის გაანგარიშების პრინციპები შესაბამისი ოფციის ამოქმედების შემთხვევაში განსაზღვრულია ზემოაღნიშნულ შეთანხმებაში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის სს „საპარტნიორო ფონდმა“ კომპანიის კაპიტალში დამატებით შეიტანა 8,210,188 ლარი (3,334,171 აშშ დოლარი), რათა შეესრულებინა 2017 წლის 30 მარტს გაფორმებული შეთანხმებით აღებული ვალდებულებები.

ამავე წელს შპს „ლოპოტა ინვესტმენტმა“ სრულად გამოისყიდა შპს „ლოპოტაში“ არსებული სს „საპარტნიორი ფონდის“ წილი და გახდა მისი 100%-იანი წილის მფლობელი. ზემოაღნიშნული შეთანხმების მიხედვით შპს „ლოპოტას“ საწესდებო კაპიტალის ღირებულება შემცირდა 13,309,192 ლარით, რაც წარმოადგენს სს „საპარტნიორო ფონდის“ წილს კომპანიაში. შეთანხმების მიხედვით, შპს „ლოპოტა ინვესტმენტმა“, სს „საპარტნიორი ფონდს“ გადაურიცხა თანხა გაუნაწილებელი მოგებიდან 2,169,142 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს წილის შესყიდვის ოფციის პერიოდში, ფონდის მიერ კომპანიის კაპიტალში ფაქტობრივად განხორციელებულ შენატანზე დარიცხულ 14% ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

16. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	**ვალუტა**	**მიმდინარე**	**გრძელვადიანი**
სს თიბისი ბანკი	7.61%-8.11%+ევრობორი(6 თვიანი)	ევრო	1,482,264	16,289,542
სს თიბისი ბანკი	5.54%-7.8%+ლიბორი(6 თვიანი)	დოლარი	1,705,576	16,837,260
სს თიბისი ლიზინგი			314,407	-
			3,502,247	**33,126,802**

მიღებული სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	**ვალუტა**	**მიმდინარე**	**გრძელვადიანი**
სს თიბისი ბანკი	8%+ლიბორი(3 თვიანი)	დოლარი	2,427,103	15,246,032
			2,427,103	**15,246,032**

16. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებული სესხების რეკონსილაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი	**მიმდინარე**	**სულ**
2018 წლის 1 იანვარი	15,246,032	2,427,103	**17,673,135**
მონეტარული ცვლილებები	19,919,504	(4,145,809)	**15,773,695**
არამონეტარული ცვლილებები			
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	785,627	83,058	**868,685**
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	(3,138,768)	3,138,768	-
დარიცხული პროცენტი	-	1,999,127	**1,999,127**
ფინანსური ლიზინგი	314,407	-	**314,407**
2018 წლის 31 დეკემბერი	**33,126,802**	**3,502,247**	**36,629,049**

მიღებული სესხების რეკონსილაცია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი	**მიმდინარე**	**სულ**
2017 წლის 1 იანვარი	**-**	**-**	**-**
მონეტარული ცვლილებები	16,220,251	(1,127,710)	**15,092,541**
არამონეტარული ცვლილებები			**-**
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	1,398,666	-	**1,398,666**
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	(2,372,885)	2,372,885	**-**
დარიცხული პროცენტი	-	1,181,928	**1,181,928**
2017 წლის 31 დეკემბერი	**15,246,032**	**2,427,103**	**17,673,135**

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საპროცენტო ვალდებულება შეადგენს 49,072 და 54,218 ლარს, შესაბამისად.

მიღებული სესხის უზრუნველყოფას წარმოადგენს კომპანიის დაკავშირებული საწარმოების - „შპს ლოპოტა ტურ სერვი“ , შპს „ლოპოტა“, შპს „ლოპოტა ინვესტმენტის“, წილები. სესხი ასევე უზრუნველყოფილია კომპანიის ბენეფიციარი მფლობელის, გიორგი მაისურაძის პირადი თავდებობით. სესხის უზრუნველყოფის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-10 განმარტებით შენიშვნაში.

კომპანიას მიღებულ სესხებზე გააჩნია ფინანსური კოვენანტები, რომლებიც ვერ შესრულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, 2018 წლის საანგარიშგებო წლის ბოლოს ბანკსა და კომპანიას შორის არსებობს წერილობითი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ბანკი არ გამოიყენებს სესხის უპირობოდ დაფარვის უფლების ამოქმედებას.

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

დამატებითი ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	802,017	343,867
გადასადელი ხელფასები	249,346	211,785
სხვა ვალდებულებები	-	54,222
	1,051,363	**609,874**
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	488,935	271,002
	488,935	**271,002**
	1,540,298	**880,876**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

18. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე - 358,927 და 93,431 ლარის ოდენობით როგორც საგადასახადო ვალდებულება, შესაბამისად.

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

მმართველობის ანგარიშგება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) კომპანიას აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის, კომპანიას არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

სესხის ხელშეკრულების კოვენანტები - კომპანიას აქვს მიღებული სესხი სს „თიბისი ბანკისაგან“. სასესხო ხელშეკრულების პირობების მიხედვით კომპანიას აქვს ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლოა გამსესხებელმა გამოიყენოს სესხის უპირობოდ დაფარვის უფლების ამოქმედება (იხილეთ მე-16 განმარტებითი შენიშვნა).

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურებას, რომელიც 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შეადგენს 937,416 და 892,292 ლარს, შესაბამისად.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ დაფარა მიღებული სესხების ძირი თანხა 212,400 ლარის ოდენობით და გადაუხადა მომწოდებლებს 558,261 ლარი შესაბამისად.

შპს „ლოპოტამ“ გააფორმა დამატებითი შეთანხმება სს „თი ბი სი“ ბანკთან, რომლის მიხედვითაც მოხდა სესხის ძირის დაფარვის გრაფიკის ცვლილება და დაფარვები გადავადდა 2020 წლამდე.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

22.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

შეფასების და წარსადგენი ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21–ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ და ფაისკ ინტერპრეტაცია 22-ის - „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“ მოთხოვნების შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2018	31.12.2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044

22.2 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სასტუმროს და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორიც არის სასტუმროს მომსახურება, სპა და სპორტული დარბაზით სარგებლობა და სხვა დაკავშირებული მომსახურებები, აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალი საკვები და სასმელის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით აქტივის რაოდენობაზე. როდესაც მომხმარებელი უკვეთავს ერთზე მეტ პროდუქტს, კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს თითოეულ პროდუქტზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით (ყველა პროდუქცია შეიძლება გაიყიდოს ცალკე).

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

22.3 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივები

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 – “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება”. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის), კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

გაუფასურება

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ.

კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

კომპანია ჯგუფურად აფასებს სავაჭრო მოთხოვნებს გაუფასურებაზე, რადგან კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან და მომხმარებლებთან ანგარიშსწორების პირობებიდან გამომდინარე, მისი სავაჭრო მოთხოვნები არ მოიცავს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ელემენტებს.

იმისათვის, რათა განისაღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად შეფასებულ სავაჭრო მოთხოვნებზე, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის გასული წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ აქტივებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება

კომპანიამ არაარსებითად შეაფასა საკრედიტო დანაკარგების რისკი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სწრაფი ლიკვიდურობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე კომპანია არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას ფასს 9-ის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის) კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს გადახურავს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

22.4 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავლში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

22.5 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

22.6 საოპერაციო იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

22.7 დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებული მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღაირდება სხვა ხარჯების მუხლში - „გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა“. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

22.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20 - 40
აღჭურვილობა და ინვენტარი	5 - 8
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	3 -15
მიწა	არ ერიცხება ცვეთა
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ერიცხება ცვეთა

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივ დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

22.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 5 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

22.10 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერილაური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი.

აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგარამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

22.11 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეზალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

22.12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

22.13 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვა-ლეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

22.14 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კოპმანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს „ლოპოტა“

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2018 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3
საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა 4
კომპანიის შესახებ 4
მმართველობა და სტრუქტურა 4
საქმიანობის მიმოხილვა 5
ფინანსური შედეგები 7
განვითარების გეგმები 8
კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები 8
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ 8
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ 8
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 8
საოპერაციო რისკები 8
ფინანსური რისკები 9

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლოპოტას“ დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 11 ივლისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

25 სექტემბერი 2019

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

ი. თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლოპოტას“ დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 11 ივლისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

25 სექტემბერი 2019

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კომპანიის შესახებ

შპს „ლოპოტა“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2016 წლის 27 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა დამფუძნებლების მიერ კაპიტალში აქტივები შეტანილ იქნა და შესაბამისად, საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2017 წლის მარტიდან.

ზოგადად, სასტუმრო ლოპოტა, სტუმრებს მომსახურებას უწევს 2008 წლიდან, თუმცა 2016 წლამდე სასტუმროს ოპერირება ხდებოდა სხვა იურიდიული პირის საშუალებით. სასტუმრო ლოპოტა წარმოადგენს ქართულ ბრენდს.

კომპანიის იურიდიული მისამართია თელავის რაიონი, ს. ნაფარეული, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სასტუმროს და მასთან დაკავშირებული სხვა სერვისების გაწევა. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 62.22% და 37.78% ფლობდნენ შპს „ლოპოტა ინვესტმენტი“ და სს „საპარტნიორო ფონდი“, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ლოპოტა ინვესტმენტი“. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირია გიორგი მაისურაძე.

მმართველობა და სტრუქტურა

კომპანიის მმართველი ორგანოა პარტნიორთა კრება. კომპანიას ხელმძღვანელობს დირექტორი.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგია:



მმართველობა და სტრუქტურა (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებული იყო 280-მდე თანამშრომელი, საიდანაც 88% არის მომსახურე პერსონალი, ხოლო 12% წარმოადგენს ადმინისტრაციულ კადრებს.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სასტუმრო და მასთან დაკავშირებული სერვისები. სასტუმროში განთავსებულია:

- 186 სასტუმრო ნომერი;
- 4 ღია აუზი;
- 2 ღია ბუნგალო;
- 1 ბარი;
- 1 კლუბი;
- 1 დახურული აუზი;
- 2 რესტორანი;
- სპა და ა.შ.

კომპანიამ სსაპარტნიორო ფონდის ინვესტიციების დახმარებით განავითარა ტერიტორია, 2018 წელს დაემატა 84 სასტუმრო ნომერი, ღია საცურაო აუზი, 1000 კვ. მეტრზე განთავსებულ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბუფეტური რესტორანი და ადმინისტრაციული შენობა.

კომპანია ემსახურება როგორც ფიზიკურ, ასევე კორპორატიულ კლიენტებს და სთავაზობს:

- სასტუმროში განთავსებას;
- სარესტორნო მომსახურებას;
- საკონფერენციო და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას;
- სპა მომსახურებას;
- სათავგადასავლო ტურებს;
- ღვინის დეგუსტაციას.

გაყიდვები ხორციელდება სხვადასხვა არხების საშუალებით:

- ინტერნეტ გაყიდვებით (კომპანია იყენებს რამდენიმე პლატფორმას);
- სატელეფონო გაყიდვებით;
- პირდაპირი კორპორატიული გაყიდვებით;
- ტურისტულ კომპანიებთან თანამშრომლობით.

2018 წლის მონაცემებით შემოსავლები პროდუქტების მიხედვით იყოფა შემდეგნაირად:

	2018	2017
ნომრების გაქირავება	13,573,786	8,436,679
კვება	2,650,695	2,071,566
გასართობი და გამაჯანსაღებელი აქტივობები	828,536	451,474
სხვა	359,881	414,743
სულ	**17,412,897**	**11,374,462**

საქმიანობის მიმოხილვა (გაგრძელება)

ლოპოტა სპა რეზორტის სტუმრების სეგმენტაცია აღსაღნიშნია იმ კუთხით, რომ მისი მომხმარებლის დაახლოებით 40% არის საქართველოს მოსახლეობა. გასულ წელს აღნიშნულ მაჩვენებელი შეადგენდა 50%-ს, თუმცა 2018 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოელი სტუმრების რიცხვი.

2018 და 2017 წლის სტუმრების ქვეყნების მიხედვით სეგმენტაცია შემდეგნაირად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი (ძირითადი 10 ქვეყანა):

	2018	2017
საქართველო	38.7%	47.1%
საუდის არაბეთი	14.3%	5.7%
რუსეთი	12.8%	11.0%
გაერთიანებული საემიროები	4.6%	8.8%
სომხეთი	2.3%	0.5%
ინდოეთი	1.9%	1.9%
ქუვეითი	1.8%	0.6%
აზერბაიჯანი	1.2%	0.7%
ისრაელი	1.2%	1.6%
აშშ	0.8%	0.8%

2018 წელს 2017 წლიდან განსხვავებით, სტუმრები იყვნენ შემდეგი ქვეყნებიდან: პორტუგალია, მალტა, სლოვაკეთი, მაკედონია, ლუქსემბურგი, ბულგარეთი, სამხრეთ კორეა, შვეიცარია.

სასტუმრო ლოპოტასთვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მომხმარებელთა კმაყოფილება.

ამისათვის კომპანია ცდილობს თითოეულ თანამშრომელს დაანახოს მათი როლის მნიშვნელობა სტუმრების კმაყოფილების ზრდაში და შესაბამისად, ჩვენი დაჯილდოების პროგრამები ეფუძნება სტუმრებისგან მიღებულ ინდივიდუალურ უკუკავშირს (საბონუსე პროგრამა, თვის და წლის საუკეთესო თანამშრომლის პროგრამა).

თანამშრომლებს მუდმივად უტარდებათ „სერვისთან“ დაკავშირებული ტრენინგები.

ფინანსური შედეგები

2018 წლის ივნისიდან სასტუმროში გაიზარდა ნომრების რაოდენობა, 84 ნომრით. შესაბამისად, გაიზარდა სტუმრების რაოდენობა და გაყიდული ოთახების რაოდენობა, თუმცა დატვირთულობის მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით არ შეცვლილა.

ცხრილის სახით მოცემულია კომპანიის საქმიანობის ამსახველი რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი:

	2018	2017
სასტუმროს ოთახების საშუალო წლიური დატვირთულობა*	66%	66%
სულ სტუმრების რაოდენობა	68,982	41,993
სულ გაქირავებული ოთახები	35,317	22,078
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR) ლარი**	377	373
ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR) დოლარი (ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად 31.12.2018)	149	144

შენიშვნა* სასტუმროს გაყიდულ ოთახების რაოდენობა გაყოფილი (სრული დღეების რაოდენობა X არსებული ოთახების რაოდენობაზე) X %-ზე

**ნომრის საშუალო დღიური ღირებულება (ADR): შემოსავალი სასტუმროს ოთახებიდან / გაყიდული ოთახების რაოდენობაზე

2018 წლიდან კომპანიამ გამიჯნა ოთახისა და კვების ფასი. მხოლოდ ოთახების საშუალო ფასმა შეადგინა 279 ლარი, ხოლო კვების ჩათვლით 377 ლარი.

კომპანიის ძირითადი საოპერაციო ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

	2018	2017
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(5,212,439)	(3,123,429)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,922,468)	(920,290)
მარაგების ხარჯი	(2,967,672)	(1,666,341)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(3,649,435)	(2,182,842)

კომპანია აფასებს საქმიანობის ფინანსურ შედეგებს შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით:

	2018	2017
საოპერაციო მოგების მარჟა	21%	31%
წმინდა მოგების მარჟა	3%	11%
უკუგება კაპიტალზე	2%	4%
უკუგება აქტივებზე	1%	2%

ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები:

საოპერაციო მოგების მარჟა = საოპერაციო მოგება / ამონაგები

წმინდა მოგების მარჟა = წმინდა მოგება / ამონაგები

უკუგება კაპიტალზე = წმინდა მოგება / მთლიანი კაპიტალი

უკუგება აქტივებზე = წმინდა მოგება / მთლიან აქტივები

განვითარების გეგმები

კომპანია გეგმავს სამომავლო განვითარებას. განვითარება მოიცავს დამატებით 135 სასტუმრო ნომრის, ბოულინგის, ლუდსახარშის, საბილიარდოს, თევზის რესტორნის, ჯაზ კლუბის, აკვაპარკის და საერთაშორისო სტანდარტებით მოწყობილ 6 ჩოგბურთის და 1 კალათბურთის მოედნის მშენებლობას.

ზემოთხსენებული პროექტის დასრულება იგეგმება 2021 წლის აგვისტოს თვეში. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს საქართველოში შევქმნათ სრულფასოვანი საკურორტო ტიპის სასტუმრო, რომელიც მოემსახურება სტუმრებს მთელი მსოფლიოდან და შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს თელავის რაიონის მასშტაბით.

განვითარების გეგმის ფარგლებში 2019 წელს დაემატა ღვინის შატო, ღვინის ქარხანა.

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2018 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი.

კომპანიის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სასტუმროს ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი.

საოპერაციო რისკები

სასტუმროს ძირითად საოპერაციო რისკებად შეიძლება განვიხილოთ სტუმრებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მობინადრეთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მობინადრეთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, სასტუმროში შეღწევის შეზღუდვა, ვიდეო კონტროლი, ასევე მობინადრეთა კვებასა და სასმელ წყალზე უსაფრთხოება, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.

რისკის მართვა:

ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად სასტუმროს გააჩნია 24 საათიანი დაცვა. დაცვის ყველა თანამშრომელი სისტემატურად გადის ტრენინგებს, როგორც პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებში, ასევე საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესების დასაცავად. სასტუმრო აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით, კომპანიამ მსხვილი ინვესტიცია განახორციელა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მოსაწყობად, შეიძინა სახანძრო მანქანა და შესაბამისი მოწყობილობები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კომპანია თითქმის ყოველდღიურად ახორციელებს სხვადასხვა დასახელების ეკოლოგიურად სუფთა მაღალი ხარისხის პროდუქციის შეძენა-ტრანსპორტირებას საქართველოს რეგიონიდან.

ასევე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი რაც სასტუმროს ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის კომპანიის სახელის (ბრენდი) დაცვა. კომპანიას ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს კომპანიის რეპუტაციისა და მაღალი სტანდარტების დამყარებაზე. ამისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშეც.

კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული რისკი არ არის არსებითი, რადგან საპროცენტო განაკვეთის ცვლადი ნაწილი მიბმულია ლიბორზე (LIBOR), რომელიც წარსული პერიოდის ანალიზით არ ხასიათდება მნიშვნელოვანი რყევებით. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა 4).

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი	_____	გიორგი მაისურაძე

შპს „ლოპოტა“

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი _____ გიორგი მაისურაძე